ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია

დასკვნა:**დ02.37211112**
თარიღი:**21/04/2021**

დ ა ს კ ვ ნ ა

ქალაქ ოზურგეთის გოგი დოლიძის ქუჩის მცხოვრებთა

კოლექტიურ განცხადებაზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ შეისწავლა ქ. ოზურგეთის გოგი დოლიძის ქუჩის მცხოვრებთა კოლექტიური განცხადება, აღნიშნული ქუჩის დამისამართებისა და ქუჩის სახელწოდების აღმნიშვნელი ფირნიშების მოწყობის შესახებ და დაადგინა:

1. ქ. ოზურგეთის გოგი დოლიძის ქუჩაზე არ არის მოწყობილი ქუჩის სახელწოდების აღმნიშვნელი ფირნიშები, რაც სერიოზულ დისკომფორტს უქმნის ადგილობრივ მოსახლეობას.

2. ზემოთ აღნიშნულ ქუჩაზე სახელწოდების აღმნიშვნელ ფირნიშების არარსებობა, ქუჩის გეოგრაფიული განლაგების თავისებურებების გამო, აძნელებს მოსახლეობაზე სხვადასხვა სახის (ამანათების გადაცემა, სასწრაფო დახმარების ეკიპაჟის მომსახურების მიღება) მომსახურეობის სრულფასოვნად გაწევას.

3. ეთხოვოს მუნიციპალიტეტის მერს განახორციელოს ქალაქ ოზურგეთის გოგი დოლიძის ქუჩის აღჭურვა ფირნიშებით ან ქუჩის დასაწყისში მოაწყოს ქუჩის დასაწყისისა და მიმართულების აღმნიშვნელი დაფა.

ცნობისათვის: ერთ-ერთი მაცხოვრებელის მიერ გამოძახებული სასწრაფო დახმარების ეკიპაჟის დაგვიანებით გამოცხადების გამო, რომელიც გამოიწვია აღნიშნული ეკიპაჟის მიერ ქუჩის ადგილმდებარეობის არცოდნამ, ადგილზე გამოძახებულ იქნა საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე შექმნილი სიტუაციის ადგილზე შესწავლის მიზნით.

ლავრენტი ბიგვავა

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი